№ 95

ოთხშაბათი, 6 მაისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 95

ოთხშაბათი, 6 მაისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხარასკევს, 8 მაისს.

ამ ნომერში 22 გვერდია.

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ ჰოსახერხებლადა სცნო დააიფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 25 მაისამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ, მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

ქალაქს გარეშე მყოფთათვის ადრესი: Тифлисъ. Грузинское издательское Товарищество. (50—б.—31)

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26. (50—80—9).

### «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»

სასარგებლოდ ბაზრის გასამართავად შემდგარი კომისია უმორჩილესად სთხოვს იმათ, რომელთაც მინდობილი აქვთ ნივთების დამზადება, ეს ნივთები **წარმოადგინონ მაისის 15 მდე.** აგრეთვე სთხოვს შემოწირვის მსურველთ ამ დღემდე ინებონ შემოწირულობის გამოგზავნა.

ნივთები უნდა გამოიგზავნოს კნეინა ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძის სახელობაზედ (ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა № 21). (3—უ.—3)

### წლიური საზოგადო კრება

**„ქართველ ქალთა ამხანაგობის“ წევრთა** დანიშნულია 9 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზედ, ფედოროვის სახლში, № 10.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა 1897 წელს.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3) მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სკოლის გაუმჯობესების შესახებ.

4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1898 წლისა.

5) მოხსენება ალებ-მიცემობის შესახებ.

6) გამგეობის ოთხის წევრის არჩევა. (6—უ.—3)

### წლიური საერთო კრება

**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა**

დანიშნულია 13 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველი იქნება შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1897 წელს.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურის ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

5, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრებისა.

6, არჩევანი საზოგადოების თავჯდომარის და გამგეობის წევრთა. (3—უ.—3)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 11½—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

**ი. თ. შროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.** — 5 — 6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ზ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი — 6 — 7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

## სოფ. ქვიშხეთში

(საუკეთესო სააგარაკო ადგილია)

ვიღებ

**პანსიონერებს,**

ხელ-მეორედ გამოსაცდელ და სასწავლებელში მისაღებ ეგზამენებისათვის მოსამზადებლად. იქვე ისწავლიან ფრანგულსა და გერმანულს ენებს და მუსიკას.

ადრესი: ავჭალისა და თუმანოვის ქუჩების კუთხე. ავჭალის ქუჩიდგან № 8, თუმანოვის ქუჩიდგან № 20. მსურველთ შეუძლიანთ თავიანთი ადრესი „ივერიის“ რედაქციას შეატყობინონ. (3—უ.—1)

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძა ზოდპორუჩიკობა მათის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახელობის მე 83 სამურის ქვეითა რაზმის პოდპრაპორშჩიკს მარცვალაძეს.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 5 მაისს, ტფილისის სასამართლო პალატამ განიხილა საქმე ბრილელის გლეხებისა—ბესო იმერლიშვილისა, გაბო იმერლიშვილისა, სარდო ქართველიშვილისა და ლექსო ჩუბინიძისა, რომელთაც ჰბრალდებათ ს. ბრილში თ. ნიკო დიასამიძის მოკვლა. სასამართლოს თავმჯდომარეობდა კ.. პ. კოლბასინი, წევრებად იყვნენ სამოსამართლო პალატის წევრნი: ტ. ტ. გლუშანოვსკი და ი. ი. ოპტოვცევი. ბრალსა სდებდა ბრალმდებელის ამხანაგი ბ ნი ივანოვი. დამნაშავეთ იცავდა ნაფიცი ვექილი. ა. ი. ყარაბეგოვი. პალატამ ოთხივე ბრალდებულნი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა ბესო იმერლიშვილს ათის წლით, ხოლო დანარჩენებს რვა-რვა წლის ვადით. ოლქის სასამართლოს მიერ, როგორც ვუწყით, ოთხივეს ათ-ათის წლითა ჰქონდათ კატორგა გარდაწყვეტილი. სარდო ქართველიშვილმა, გაბო იმერლიშვილმა და ლექსო ჩუბინიძემ ითხოვეს გარდაწყვეტილების პირი, რადგანაც ბ-ნ ყარაბეგოვს აზრათ აქვს საქმე გადიტანოს უმართებულესს სენატში.

*** ამ ნომერთან „ივერიის“ ხელის მომწერლებს ტფილისში ეგზავნებათ ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ 1897 წლის მოქმედებისა.

*** ოთხშაბათს, 6 მაისს, დანიშნულია ქალაქის გამგეობაში კრება კომისიისა, რომელმაც უნდა აირჩიოს ადგილი ქალაქის ქუჩების ელექტრონით განათების სადგურისათვის.

ხუთშაბათს, 7 მაისს, საფინანსო კომისია გადასწყვეტს, ჩამოერთვას, თუ არა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების განათება იჯარადარს.

*** პოლიციამ აღმოაჩინა შემდეგი დანაშაული ნაპოლეონ ამატუნისა, 8 და 9 პოლიციის ნაწილში ამატუნისა და მკრტიჩიანს ჰქონიათ განუყოფელი მამული, რომლის გაყიდვა და დაგირავება ვალების გამო აკრძალული ჰქონიათ. ნაპოლეონ ამატუნს როგორღაც მოუხერხებია და 2,500 ოთხ კუთხი საჟენი მიწა გაუყიდნია, საჟენი 6 მანათად და მყიდველებისათვის ყოველგვარი საბუთის ქაღალდები მიუცია ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული.

*** 5 მაისს, დიდუბეში, სადაც დოღი იმართება ხოლმე, ცხენის იარმუკობა დაიწყო. იარმუკაზედ მოიყვანეს 60-მდე ცხენი და მოიტანეს აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი ეტლები და ყოველივე მოწყობილობა ეტლებისათვის. იარმუკაზედ დიდი ვაჭრობაა.

*** გაზეთების სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის თაოსნობით მომავალს სეზონში კოჯორში საზაფხულო ახალშენი იქმნება გამართული სხვა და სხვა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. ახალშენი უნდა განაგოს ამ საქმისათვის შემდგარმა კომიტეტმა.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიამ ცნობა მოსთხოვა ტფილისის გუბერნატორს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ბოდბის დედათა მონასტრის სასარგებლოდ ქალაქის მიერ ვერის აღმართისა და ყორღანოვის ქუჩის მახლობლად მდებარე მამულის გადადების საქმეო.

*** ქალაქის მოურავი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, რომ გვიშუამდგომლეთ ჩქარა დაგვრთონ ნება კუკიაში საქალაქო სამკურნალოს დაარსებისა, რადგან მთავარ საქალაქო სამკურნალოში მრავალი ავადმყოფი დადისო.

*** სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს ჩვენის ქალაქისას ყურადღება მიუქცევია იმისთვის, რომ ადვილი შესაძლებელია ძველმა წიგნებმა, რომელთაც ბაზარში ბუკინისტები ჰყიდიან, რაიმე ავადმყოფობა შეიტანოს მყიდველის ოჯახში და საჭიროა დეზინფექცია გაუკეთდეს ასეთს წიგნებსაო.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ გამოგზავნილმა მიკოლოგმა იაჩევსკიმ უკვე დაამთავრა კახეთში მუშაობა და კვირას, 3 მაისს, ჩამოვიდა ტფილისში. ბ-ნმა იაჩევსკიმ მრავალი ვაზი აღმოაჩინა თურმე ბლეკროტით ავად.

*** ამ ჟამად ბაქოდგან ტფილისს ჩამოვიდა 15 გერმანელი მოგზაური, რომელთაც რამდენიმე დღე უნდა დაჰყონ ტფილისში და დაათვალიერონ ტფილისის შესანიშნავი ადგილები და მცხეთის ტაძარი.

*** 8 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილება განიხილავს დუმბაძის საქმეს, რომელსაც ისმანოვის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

*** 3 მაისს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ 1,000 ფუთი შაბიამანი მიიღო ინგლისიდგან. რაც აქამდის მოტანილი შაბიამანი ჰქონდა საზოგადოებას, სულ ყველა გაიყიდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებულს საზოგადოებას აქამდე მთავრობისაგან ნება-რთვა ჰქონდა მიცემული—უბაჟოდ მოტანილი შაბიამანი მხოლოდ ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში გაევრცელებინა, ხოლო, როგორც ვიცით, ამ ჟამად მთავრობისაგან ნება დართულია, —ვენახის ყოველგვარი წამალი, საწამლო მანქანები უბაჟოდ იქმნას შემოტანილი საზღვარ გარეთიდგან. ეს განკარგულება სამეურნეო საზოგადოებასაც ნებას აძლევს, არა მარტო ტფილისისა და ერევნის გუბერნიებში გაავრცელოს შაბიამანი, არამედ ყველგან კავკასიაში, სადაც-კი მევენახეობას მისდევენ.

*** 20 აპრილიდგან 1 მაისამდის ტფილისში ავად გახდა: ყვავილით 17, წითელით—2, შექცეული სახადით—

2, ყელჭირებით—3 და ციმბირის ჭირით—1. ყველაზედ მეტი ავადმყოფი მე-IV ნაწილში ყოფილა.

*** ქუთაისის საგუბერნიო მთავრობის შუამდგომლობა, რომ მდ. მაჭარაზედ ხიდის გასადებად გადადებულ იქმნას 6,000 მან., შეიწყნარა მთავარ მართებლის საბჭომ („ახ. მიმ.“)

*** ახალ გამგეს გურიის სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლისას“ ბ-ნს ს. ჭეიშვილს საჭიროდ დაუნახავს და მიუმართავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლისათვის და უთხოვნია, რომ მიაქციოს კანონიერი ყურადღება და გამოიძიოს წინანდელის გამგის მოქმედება და ანგარიში. („მეურნე“)

*** გაზ. „ტფილ. ლისტ.“-ს სიტყვით, ტფილისის გუბერნატორს, ბ-ნს ბიკოვს, ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისთვის, რომ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში მუდამ ჟამს ას შვიდ კაცამდე სულით ავადმყოფი იმყოფება, რომელთა შორის 65 კაცამდე ტფილისის მცხოვრებია და ამ უკანასკნელთაგან 34 კაცამდე ისეთები არიან, რომელნიც სენისაგან არ განიკურნებიან. გარდა ამისა, უადგილობის გამო, ყველა სულით ავადმყოფი საავადმყოფოში ვერა ჰშოულობს ადგილს. ამ გარემოებისა გამო ბ-ნ გუბერნატორს წინა-დადება მიუცია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის, რომ ახლოს მომავალში 40 კაცისათვის შენობა ააგეთ, სადაც განუკურნებელ სულით ავადმყოფს პატრონობა და თავშესაფარი ჰქონდეთო. თითო ავადმყოფისთვის ხარჯი, გარდა წამლობისა, წლიურად გამოანგარიშებულია 160 მან.

*** სოფ. სანებს, (კავკავის მაზრა). 11 აპრილს სანების სამრევლოს მღვდელმა ნ. ბაკურაძემ წმ. მართლმადიდებელ ეკკლესიას შემოუერთა სოფ. ჩიმში მცხოვრები ორი მაჰმადიანი ყამბულათა ხ ა ბ ლ ი ე ვ ი და უწოდა სახელად ალექსი.

*** გორი. ამ სამს დღეში გორში ხაბაზები რომ დაგევლოთ, გამომცხვარ პურს ვერ იშოვიდით. ხალხი ძალიან შეწუხებული იყო. უბძანეს ხაბაზებს, გამოაცხეთ, თორემ დაგსჯითო, მაგრამ ხაბაზები ასე იძახდნენ, ფუთს ფქვილს მანეთ-ნახევრად ვყიდულობთ და გიჟები ვიქნებით, გამოვაცხოთ და ექვს აბაზად გავყიდოთო, ცოლ-შვილი რიღათი ვაცხოვროთო.

*** სოფ. კუდაშა, (ქუთაისის მაზრა). ამ დღეებში შემდეგი ამბავი მოხდა აქ. ადგილობრივმა მცხოვრებელმა კ—მ დაიბარა თავისთან აქაურივე მცხოვრებელი ებრაელი, რომლისაც კ—ს 300 მან. ემართა, რომ ვალი უნდა გადაგიხადოო. ებრაელიც ამხანაგით მივიდა მოვალესთან. კ—მ თავისს შვილს სტუდენტს—იურისტს ფულის თვლა დააწყებინა და უთხრა ებრაელს, რომ ვექსილი მომეცი და ფულს სარგებლიანად ჩაგაბარებო. ებრაელმა მისცა თუ არა ვექსილი, კ—მ ნაკუწ-ნაკუწად აქცია და დაუყვირა ებრაელებს, მომშორდით თავიდგანაო და შვილმაც ფულები მაშინვე ჯიბეში ჩაიდო. გაბრაზებული ებრაელები ეცნენ თურმე კ—ს წვერებში, რომ ფული მოგვეციო. ხმაურობაზედ კ—ს ოჯახობამ მოიყარა თავი და გამორეკეს ებრაელები გარეთ, რომელთაც კ—ს შვილი უკან რევოლვერით დაედევნა. ერთი ებრაელი ეზოს კარებთან მიწაზედ დაეცა ტირილით და მეორემ-კი ყველაფერი შეატყობინა სამტრედიის ნაწილის ბოქაულს, რომელმაც მოსვლისათანავე ოქმი შეადგინა. („ახ. მიმ.“).

*** 4 მაისს სად. სამტრედიის მახლობელს რკინის გზის სადარაჯოს, სადაც პეტრე ციბაძე სცხოვრობს, დაესხნენ თავით-ფეხამდე შეიარაღებული ავაზაკები. ციბაძემ დაინახა თუ არა მომავალი ბოროტ-განმზრახველნი, მაშინვე სადარაჯოში შევარდა და კარები მაგრად დაჰკეტა. ავაზაკებმა, რაკი ნებით ვერა წაართვეს-რა, ძალით მოინდომეს და დაუწყეს კარებს მტვრევა. ამ დროს რკინის გზაზედ გამოჩნდა ხალხის მატარებელი, ციბაძემ ფანჯარასთან წითელი ფარანი გამოჰკიდა და მატარებელიც სადარაჯოსთან გაჩერდა. ავაზაკებმა ისარგებლეს ღამის სიბნელით და დამალვა მოასწრეს.

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს: ქ-ნმა ემილია ფრანცის ასულმა ტიტელმა—5 მან., ქ-ნმა ნატალია ილარიონის ასულმა გაბაშვილისამ—1 ვაზა, ქ-ნმა ოლგა საჩინოს ასულმა გაბაშვილისამ—1 ნაკერი ბალიშის პირი და 1 ალბომი, ქ-ნმა მარიამ ალექსანდრეს ასულმა ჯავროვისამ—1 პირსახოცის ჩასაწყობი გიდელი, თავ. დავით ალექსანდრეს ძემ გურამიშვილმა—2 მან., თავ. კიტა აბაშიძემ—ორი ბალიშის პირი ნაკერი.

## ქალაქის საბჭო

4 მაისი

კრების დაწყებისას თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქალაქის ყასბებმა შუამდგომლობა აღსძრეს იმის შესახებ, რომ მომატებულ იქმნას ხორცის ნიხრი. შეერთებულმა კრებამ გამგეობისა და აღმასრულებელის კომისიისამ დაადგინა თვით დაჰკლას რამდენიმე ცალი საქონელი, ამ რიგად გაიგოს რა ჯდება ხორცი და მერე, თუ საჭიროდ დაინახა, მოუმატოს ნიხრს. შეიძლება საბჭო სრულიადაც არა სცნობს საჭიროდ ნიხრის მომატებას, მაშინ ხარჯს აღარ გავწევთ და ტყუილად დროს არ დავკარგავთ.

ხმ. ხუდადოვი. ჩვენ ტყუილად ვაწესებთ ნიხრს. იმას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, რადგანაც ყასბები ისე ჰყიდიან ხორცს, როგორც თითონა ჰსურთ. ამიტომ სულ ერთი არ არის, მოუმატებთ ნიხრს თუ არა.

ცოტაოდენის კამათის შემდეგ, საბჭომ დაადგინა წინანდელი ნიხრი დასტოვოს, ე. ი. ძროხის ხორცი 8 კაპ., ცხვრისა—9 კაპ.

შემდეგ საბჭომ რამდენიმე უმნიშვნელო საქმე განიხილა და ბოლოს გამგეობის წევრმა ვერმიშევმა წაიკითხა გამგეობის მოხსენება ქალაქში გაუმჯობესებულის განათების შემოღების შესახებ.

როგორც მოხსენებიდგანა სჩანს, გამგეობა უმჯობესად სცნობს, რომ ქალაქი გაზით იქმნას განათებული. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ასეთი განათება უფრო იაფი დაჯდება და ბევრს სარგებლობას მოუტანს ქალაქს, ვიდრე, მაგალითად, ელექტრონით განათებაო. ბ-ნმა ვერმიშევმა, სხვათა შორის, ისიცა სთქვა, რომ ევროპის ყოველ ქალაქში უპირატესობას გაზით განათებას აძლევენ, ელექტრონს ძალიან იშვიათად ჰხმარობენო. მოხსენების წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ სთქვა, რომ ამ საგნის განსახილველად მცოდნე კაცები მოვიწვიოთ და კრება დავნიშნოთო. კრებაზედ დამსწრეთ თითქმის ერთ-ხმად აღიარეს, რომ უმჯობესია ქალაქი გაზით იქმნას განათებული, ვიდრე ელექტრონითაო.

ხმ. მ. კ. ალიხანოვი. მე სრულიად ვეთანხმები გამგეობის აზრს. უმთავრესად ქალაქი გაზით უნდა განათდეს, რადგანაც ელექტრონით განათება ძვირად დაჯდება. მხოლოდ იმ ქუჩების განათება შეიძლება ელექტრონით, სადაც დიდი მაღაზიებია. პატრონები მოიწადინებენ თავიანთ მაღაზიების განათებასაც და ამისათვის ფულს გადიხდიან.

ხმ. ხუდადოვი. ამ საგნის ესე ერთბაშად გარდაწყვეტა არ შეიძლება. მაგას მცოდნე კაცები უნდა. მე მიკვირს, რომ გამგეობამ არ მიჰმართა და დახმარება არა სთხოვა სატეხნიკო საზოგადოებას, რომელსაც ეგ საგანი კარგად ესმის. შემდეგ მოხსენებაში ნათქვამია, რომ უპირატესობას ყველგან გაზით განათებას აძლევენო, ნამდვილად-კი სულ წინააღმდეგსა ჰხედავთ. დასავლეთ ევროპაში ქალაქებს რომ თავი გავანებოთ, დაბები და სოფლებიც-კი ელექტრონით განათებას სცდილობენო.

ხმ. ოპოჩინინი. ტფილისში მაგ საქმის ბევრი მცოდნე კაცია და საბჭოს მხოლოდ ორი თუ სამი კაცი მოუწვევია; იმათაც მგონი კარგად არ განუხილავთ ეს საგანი. ამიტომ მეც ხმ. ხუდადოვის აზრისა ვარ, რომ მცოდნე კაცების აზრი გავიგოთ. დღეს ყველგან და ყველა უპირატესობას ელექტრონით განათებას აძლევს და მე ძალიან მიკვირს, გამგეობამ საიდგან მოიგონა, გაზით განათებას უფრო მეტი მუშტარი ჰყავსო. პირ-იქით, იქაც-კი, სადაც გაზით განათებაა, სცდილობენ იმის ნაცვლად ელექტრონით გაანათონ. და თუ დღეს სადმე კიდევ არსებობს გაზით განათება, ეგ იმიტომ, რომ ამ საქმეზედ ბევრი ფულია დახარჯული. შემდეგ გამგეობა ამტკიცებს, რომ გაზით განათება უფრო იაფად დაჯდება, ამავე დროსკი მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჯერ არ ვიცით რა დაჯდება გაზით განათებაო. თუ გამგეობამ ეს არ იცის, საიდგანღა გამოიყვანა, რომ გაზით განათება უფრო იაფად დაჯდება, ვიდრე ელექტრონით. როგორც ვთქვი, ჩემის აზრით, ეს საგანი ჯერ მცოდნე კაცებს უნდა გადავცეთ და იმათი აზრი შევიტყოთ.

შემდეგ ზოგიერთებმა სთქვეს, რომ შეიძლება უმთავრესის ქუჩების, სადაც მაღაზიებია, ელექტრონით განათებას ეხლავე შევუდგეთ, რადგან იქ შემოსავალი ხარჯს დაჰფარავსო. ხოლო დანარჩენთა ქუჩების განათების საქმეს გაზით ან ელექტრონით მაშინ შეუდგეთ, როდესაც მცოდნე კაცები მაგ საგნის შესახებ თავისს აზრს წარმოსთქვამენო.

ცოტა ხნის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: 1, უმთავრესი ქუჩები ელექტრონით იქმნას განათებული, ამასთან მიანდო საბჭოს ამის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა; 2, დანარჩენი ქუჩების განათების საქმე გადასცეს განსახილველად სატეხნიკო საზოგადოებას.

## ქუთაისის მეაბრეშუმეობის და ფეიქრობის ამხანაგობის საზოგადო კრება.

26 აპრილს შესდგა კრება ამხანაგობისა, რომელიც განგრძობაა 19 აპრილის კრებისა. ამ კრებას დაესწრო 197 წევრი, რომელნიც განსაკუთრებულ სიაზედ ხელს აწერდნენ. სხდომა დაიწყო დილის $10^1/_2$ საათზედ საურთიერთო კრედიტის დარბაზში. გამგეობის თავმჯდომარემ თ. პ. ა. თუმანიშვილმა გამოაცხადა, რომ კრება კანონიერია, რადგან საკმაო რიცხვი წევრთა გამოცხადდაო; ამასთან დასძინა, რომ ვისაც ამ წლის 23 აპრილამდის წილის ბარათი (პაი) შეუძენია და გამგეობის სიაში შეტანილია, ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის საქმეების გარჩევაში; შემდეგ სთხოვა კრებას თავმჯდომარეობიდგან განეთავისუფლებინათ და საზოგადო კრების თავმჯდომარე და მდივანი ამოერჩიათ. კრებამ თავმჯდომარედ ერთ-ხმად ამოირჩია თ. დავით ოტიას ძე ნიჟარაძე, ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, ხოლო მდივნად ახალგაზდა ვექილი სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე. თ. ნიჟარაძემ საზოგადოებას მადლობა გარდაუხადა პატივისცემისა და ნდობისათვის და სთხოვა კრებას წესიერად თავის დაჭერა, რათა ყველას მიეცეს შეძლება თავისი სათქმელი სთქვას და სხვისი ნათქვამი მოისმინოსო.

ამხანაგობის გამგეობის წევრმა ბ-ნმა კ. ბაქრაძემ წაიკითხა გამგეობის ვრცელი მოხსენება, თუ როგორ აღორძინდა ამხანაგობა, როგორ მიმდინარეობდა მისი საქმეები და რა მდგომარეობაში იმყოფება ეხლა. ამ მოხსენებიდგან საზოგადოებამ ცხადად დაინახა, თუ რამდენი უწესოება, რამდენი უსიამოვნება და რა დიდი ზარალი მიუცია ამხანაგობისათვის ბ-ნ არ. ანჯაფარიძეს, რომელსაც ჩაბარებული ჰქონია ამხანაგობის ქონება. საზოგადოება გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ გამგეობას მეტის-მეტად ბევრი მოუთმენია, დიდი სულგრძელობა გამოუჩენია ბ ნ ანჯაფარიძის შესახებ, რომ იგი აქამდის პასუხის გებაში არ მიუციაო. შემდეგ წაიკითხეს ამხანაგობის პირველი წლის მოქმედების ანგარიში.

გ. ჩიკვაიძე. მე ამ კრებას უკანონოდ ვრაცხ, რადგან ეს კრება მოწვეულია იმ პირობის ძალით, რომელიც შეცვლილია 11 მაისს 1897 წელს მომხდარ საზოგადო კრებისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი კრება შესდგა აგრეთვე უკანონოდ, რადგან ამხანაგობის წევრთ არა ჰქონდათ დარიგებული უწყებები, როგორც ამას ითხოვს ამხანაგობის პირობა, ამიტომ მე მონაწილეობას აღარ ვიღებ ამ კრებაში როგორც წევრი ამხანაგობისა, ვრჩები ვითარცა გარეშე მაყურებელი და ვითხოვ ეს ჩემი აზრი ოქმში შეიტანოს მდივანმა.

თ. კირ. ლორთქიფანიძემ და ბ. ს. ჯაფარიძემ აუხსნეს საზოგადოებას, რომ შეცვლა პირობის ზოგიერთის მუხლისა მოხდა სრულიად კანონიერად, რადგან იმ კრებას დაესწრო ორი მესამედი ამხანაგობის წევრთა, როგორც ამას ითხოვს თვით პირობა და, გარდა ამისა, ეს შეცვლა პირობის მუხლებისა მოხდა ბ ნთ არტ. ანჯაფარიძის და ილარიონ ლორთქიფანიძის მონაწილეობით და თანხმობით; მაშ რა საფუძვლით ამტკიცებს ბ-ნი კ. ჩიკვაიძე, როგორც დამცველი ანჯაფარიძისა და ლორთქიფანიძის ინტერესებისა, რომ ეს შეცვლა მოხდა უკანონოდ და ანჯაფარიძისა და ლორთქიფანიძის საზარალოდაო?!

შემდეგ თ. პ. ა. თუმანიშვილმა დაწვრილებით და თვალ საჩინოდ აუწერა კრებას ისტორია ამხანაგობის დაარსებისა; სთქვა, რომ პირველი პირობა, რომლის შედგენაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, პირობადვე დარჩა ქაღალდზედ, იგი არ განხორციელებულა, რადგან არც ერთი მანეთი არავის არ შემოეტანაო. მომიტანეს მე ეს პირობა პატივცემულ კაცთ, მთხოვეს მიმეღო მონაწილეობა და საქმის მოთავეობა მეკისრა. წავიკითხე თუ არა ეს პირობა, უარი განვაცხადე, რადგან ამ პირობის ძალით გამგეობას თითქმის არავითარი უფლება არ ეძლეოდა; უფლება ერთის კაცის ხელში იყო, ეს კაცი ანჯაფარიძე გახლდათ. თუ ეს პირობა ამ სახით დარჩა, შეუძლებელია, რომ მე მონაწილეობა მივიღო-თქო. მოხდა ხელახალი კრება, რომელსაც დაესწრნენ ყველანი, ვისაც-კი ხელი ჰქონდა მოწერილი პირველს პირობაზედ. დამსწრეთა შორის იყვნენ ბ-ნნი ანჯაფარიძე და ლორთქიფანიძეც. აი, ამ კრებაზედ შევცვალეთ პირველის პირობის მუხლები იმ გვარად, რომ უფლება და ძალა ყოფილიყო ამხანაგობის გამგეობის ხელთ და არა ერთის კაცის ხელში. მხოლოდ მაშინ ვიკისრე მოთავეობა ამ საქმისა, საწევრო ფული მაშინ შემოვიდა, ამხანაგობამაც მოქმედება მაშინ დაიწყო. რამდენად სამართლიანია ბ-ნი კ. ჩიკვაიძე, როცა ამბობს, რომ მეორე კრება და პირობა უკანონოაო, ამისი გარჩევა საზოგადოებისთვის მიმინდვია. ჩვენ ვმოქმედობდით და ვმოქმედობთ ამ პირობის ძალით. შემდეგ მთავრობამ გამოსცა ნორმალი წესდება სამეურნეო ამხანაგობებისა. ჩვენც ვისარგებლეთ ამ შემთხვევით, ამოვირჩიეთ კერძო კომისია, რომელმაც შეადგინა ახალი წესდება სამინისტროში გასაგზავნად. ეს წესდება კიდევ უფრო მაგარ ლაგამსა სდებს ბ-ნს ანჯაფარიძეს, და აი იმან და ორმა სხვა კაცმა ძალით მოინდომეს ამხანაგობის ქონების მითვისება. გამგეობა ამხანაგობისა დარწმუნდა ამ სამი კაცის ვერაგობას და შესაფერი ზომა იხმარა ამხანაგობის ქონების დასაცავად. აი, ეს გახლავთ მოკლე ისტორია ამხანაგობისა.

ამის შემდეგ კრებამ დიდის უმრავლესობით დაამტკიცა გამგეობის ანგარიში. კრებას მოხსენდა მდგომარე წლის ხარჯთ აღრიცხვა, რომლის შესახებ თ. თუმანიშვილმა მოახსენა კრებას, რომ დაწვრილებითის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა შეუძლებელი იყო, რადგან ქონება ამხანაგობისა დაბეჭდილია ადმინისტრაციის განკარგულებითაო. დაწვრილებითის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა შეიძლება მაშინ, როცა ქონება ამხანაგობისა: ბამბა, აბრეშუმი, პარკი და სხვა გაიყიდება და განაღდდება. განაღდების შემდეგ მე მოვიწვევ საგანგებო კრებას, რო-

მელსაც წარმოვუდგენ ამა 1898 წ. ხარჯთ-აღრიცხვას.

შემდეგ კრებას მიეცა წინადადება, განიხილოს და დაამტკიცოს ზემოხსენებული ახალი წესდება, რათა შემდეგ ის გაიგზავნოს სამინისტროში დასამტკიცებლად, ვინაიდგან ახლანდელი წესდება,—რომლითაც სწარმოებს ამხანაგობის საქმეები, შეუფერებელიაო. ახლად შედგენილი წესდება, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, არის ნორმალი მცირედის განსხვავებით. ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ წესდების ერთმა ფრიად სასარგებლო ცვლილებამ, რომლის აზრიც ის არის, რომ მწარმოებლები, რომელთაგანაც ამხანაგობა ჰყიდულობს საქონელს, მონაწილეობას იღებენ ამხანაგობის მოგებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გონივრული მუხლი წესდებისა მრავალს მწარმოებელს მიიზიდავს ამხანაგობისაკენ და დიდს სარგებლობას გაუწევს ღარიბ სოფლელ ხალხს. კრებამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს ახალი წესდება და სთხოვა გამგეობას, დაუყოვნებლივ გაგზავნოს იგი სამინისტროში დასამტკიცებლად.

შემდეგ თავმჯდომარემ წინ დაუყენა კრებას გარდასაწყვეტად სამი საგანი: 1, სცნობს თუ არა კრება გამგეობის მოქმედებას ამხანაგობის საქმეების მმართვისას სამართლიანად; 2, სამართლიანად მოქცეულა გამგეობის სამი წევრი: თავმჯდომარე და ორი დირექტორი, რომ დაუცავს ამხანაგობის ქონება რამდენისამე კაცის მითვისებისაგან, და 3, ანდობს კრება აწინდელს გამგეობას, რომ მან განაგრძოს პატრონობა ამხანაგობის საქმეებისა და ქონებისა, და აგრეთვე იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა გარდაეცეს ამ გამგეობას პოლიციის მიერ დაცული ქონება, თუ არა? ამ სამსავე საგანში კრებამ დიდის უმრავლესობით სრული დასტური დასცა და ნდობა გამოუჩინა გამგეობას.

რადგან გამგეობის ორმა წევრმა ბ-ნმა ანჯაფარიძემ და ქ-ნ მერგასოვისამ უარი განაცხადეს, რომ იგინი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებენ ამხანაგობის საქმეებში, კრებამ მიანდო გამგეობის თავმჯდომარეს თ. თუმანიშვილს, მოიწვიოს იმათ მაგივრად იმათი კანდიდატები. ჯერით უნდა თავი დაენებებინა თანამდებობისათვის ერთს დირექტორთაგანს ბ-ნ კ. ბაქრაძეს; კრებამ სთხოვა ისევ იგი დარჩენილიყო დირექტორად.

როცა ყველა საგნები გადასწყდა საზოგადო კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა გამგეობის სამ წევრს: თავმჯდომარეს და ორს დირექტორს ამხანაგობის სასარგებლო სამსახურისათვის, და აგრეთვე კრების თავმჯდომარეს თ. დავით ოტიას ძეს ნიჟარაძეს საზოგადო კრების სამაგალითო ხელმძღვანელობისთვის.

კრება ნაშუადღევის ორ საათზედ დაიშალა.

—

საკვირველისა და სამწუხარო თვისებისაა ზოგიერთი ადამიანი, რომელიც თავისს თავს საზოგადო მოღვაწედა სთვლის! იბრძვის, ჰშფოთავს და ჰღელავს თვითონ; აშფოთებს და აღელვებს საზოგადოებას, აწუხებს მთავრობას სენატიდგან დაწყებული უკანასკნელ პოლიციელამდის და მიიწევს საიდღაც უფსკრულისაკენ აღვირ-აშვებული. გარეშე მაყურებელი თვალ-ყურს ადევნებს ამ კაცის მოქმედებას, ეძებს ამ მოქმედებაში კეთილშობილ საგანს, აზრსა და მისწრაფებას, სცდილობს გაიგოს, რა აწერია ამ კაცის ბრძოლის დროშაზედ? საზოგადოების სარგებლობა, თუ რაიმე დიდებული აზრი, სიმართლის სამსახური, დაცვა და მფარველობა უსამართლოდ დევნილთა, ან იქნება განსპეტაკება და განმტკიცება საზოგადოების ზნეობისა და მისწრაფებისა? სცდილობს მოსძებნოს რაიმე გასამართლებელი საბუთი ამ კაცის მოქმედებაში, ჰსურს იფიქროს, რომ ადამიანი, რაც გინდ დაცემული იყოს, მაინც ღვთის სახისა და მსგავსებისაა, მერე იმისთანა კაცი, რომელსაც უმაღლესი სწავლა მიუღია და, ცხადია, უნდა იცოდეს ამისთანა სწავლის დაფასება და მოხმარება. ჰსურს, ყველა ეს დაიჯეროს, მაგრამ წყეული სინამდვილე სულ სხვას ჰლაპადებს. სულ სხვას გიმტკიცებს, სხვა დასკვნისაკენ გეწევა. ხედავ მხოლოდ აზრისა და მიმართულების სრულს სიმრუდესა და ფუქსავატობას, საზოგადოების და მისს სარგებლობის სასაცილოდ აგდებასა და დამცირებას; ხედავ ამ კაცის მტრულ დამოკიდებულებას საუკეთესო საზოგადო მოღვაწეებთან და სურვილს, რომ ეს უკანასკნელნი დაამციროს საზოგადოების თვალში და სამარცხვინო ბოძზედ მიაკრას.

მაგრამ ვიმედოვნებთ და ვფიქრობთ, რომ ამისთანა მოღვაწეს დიდი მანძილი არა აქვს, იგი შორს ვერ წავა, მისის მოქმედების დღეები დათვლილია, იგი მოიშხამება თავისის საკუთარის გესლით ისე, როგორც ამას სჩადის შხამიანი მორიელი. საზოგადოება ხომ ყოველთვის ყრუ და ბრმა არ არის. იგი ისე არ დამცირდება, რომ ვერ მიხვდეს, ვინ არის მისი მტერი და ვინ მოკეთე; ვინ ჰზრუნავს მისის კეთილ დღეობისათვის და ვინ თავისის პირადის სარგებლობისთვის.

თ. მ.

## წერილი კახეთიდგან

სოფ. კისისხევის ამერიკული ვაზის სანერგე

წლევანდელ წლიდგან დაარსდა კახეთში, სოფ. კისისხევში, ამერიკულის ვაზის სანერგე. აქ უნდა გაამრავლონ ამერიკული ვაზი და აქედგან გაავრცელონ კახეთში, კახელებმა ამერიკული ვაზით შესცვალონ კახური ვაზი და ზედ ამყნონ ისევ კახური. ამით გვამზადებენ ფილოქსერის წინაამდეგ. დღევანდლამდის კახეთში ფილოქსერის დასტა გამოკვლევა იმას ჰმოწმობდა, რომ ფილოქსერა არ იყო კახეთში. მოიტანეს ამერიკული ვაზი, მოიყვანეს საქარიდგან საქმის მცოდნე და დაიწყო ამერიკულ ვაზის აქაურ ვაზზედ მყნობა პირველის გასამრავლებლად. მე დარწმუნებით არ ვიცი, საიდგან მოიტანეს ამერიკული ვაზი, რადგანაც თვით ადგილობრივ სანერგეს მოხელეებმაც თურმე არ იციან, საიდგან არის მოტანილი ამერიკული ვაზი. ამასთან გავრცელებულია ხმა, რომ გამოწერილი იყო ამ სანერგესათვის ამერიკული ვაზი საქარის სანერგედგან, ხოლო ეს, რაც მოიტანეს, იქიდგან არის, თუ არა, არ ვიცით. მაგრამ, მოგეხსენებათ, ჯერ ერთი, რომ „შიშს დიდი თვალები აქვს“, და მეორეც „სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო“. ძალიან ვშიშობთ, რომ მოტანილი ვაზი საქარის სანერგედგან არ იყოს, სადაც ფილოქსერა უკვე ნასტუმრებია და ამ მოტანილს ვაზს თან ფილოქსერა არ მოჰყვეს. იქნება ვინმე გვითხრას სანუგეშოდ, ხომ არ ასცდება კახეთს ფილოქსერა და დღეს იქნება თუ ხვალ რა გარჩევააო, ვუპასუხებთ, რომ არც იმას ასცდება სიკვდილი და ამ გაზაფხულზედ პირველსავე ხეზედ ჩამოირჩოს თავი. დარწმუნებულნი ვართ, ჩვენზედ ნაკლებ არა ჰშიშობენ, ვისაც გული შესტკივა, მაგრამ დასამშვიდებლად საჭიროა გამოცხადებულ იქმნას საიდგან მოიტანეს ამერიკული ვაზი და უზრუნველ-ყოფილია ფილოქსერისაგან თუ არა? ამასთან თურმე აპირებენ მუშათა გუნდის მოყვანასაც ფილოქსერიან ადგილებიდგან. არც ეს არის სასიამოვნო. იმერეთიდგან ფილოქსერის გავრცელებას ქართლში, სხვათა შორის, მუშათა გუნდმა შეუწყო ხელიო, ამბობენ. ბ-ნ ინანოვის დროს, როცა მუშა ხელი იყო საჭირო, როცა მცოდნე ზედამხედველები იყვნენ საჭირონი, განსვენებული ინანოვი ისევ კახელებ შორისვე ამზადებდა. ახლა კახეთში ნასწავლი მევენახეები მოიპოვებიან, ზოგნი უსაქმოდაც არიან და არც ერთმა მათგანმა არ მიიღო ადგილი. ეს რითი უნდა ავხსნათ? ჩვენ არავის გულმტკივნეულებაში არ შეგვაქვს ეჭვი, მაგრამ ის ბუნებრივი კანონიცა გვწამს, რომლის გამოც კახელს უფრო შესტკივა გული კახეთისათვის, ვიდრე გერმანელს. ღმერთმა ინებოს, რომ ფილოქსერის წინაამდეგი ღონისძიებანი არ გამხდარიყოს ფილოქსერის გავრცელების მიზეზად, რაც ხანდახან მოხდება ხოლმე.

ნადიკვრელი

## ახალი გუნდი მგალობელთა.

ფერშლის სასწავლებლის გალობის მასწავლებელმა ბ-ნ მიხეილ ნათაძემ შეადგინა მგალობელთა გუნდი; უმეტესი ნაწილი მგალობლებისა ტფილისის ეკკლესიების მედავითნენი არიან. ბ-ნმა ნათაძემ შეასწავლა ამათ იპპოლიტოვ-ივანოვის მიერ გადაღებული საეკკლესიო გალობა. უფრო ადრე უნდოდა ბ-ნ ნათაძეს შეედგინა გუნდი და შეესწავლებინა ეს გალობა, მაგრამ ამ გალობის ნოტები ვერ იშოვა. 30 აპრილს პირველად აგალობა თავის გუნდი ბ-ნ ნათაძემ მთა-წმიდის ეკკლესიაში. გუნდს ეტყობა მწყობრობა და ბევრს საგალობლებს სასიამოვნოდ გალობს. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ნათაძე ამისთანა კეთილის საქმის დაწყებისთვის, მით უმეტეს, რომ თავის გუნდში მონაწილეობა მიაღებინა ტფილისის ეკკლესიების მედავითნეებს, რომელნიც ცოტად მაინც გაისწორებენ თავიანთ გალობის კილოს. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენი მედავითნეები, ზოგიერთებს გარდა, ჩვენ საგალობლებს ჰგალობენ სხვა-და-სხვა ერის (?) გალობის კილოზედ. ის მედავითნენი, რომელნიც ნათაძის გუნდში იღებენ მონაწილეობას, არ შეიძლება, არ შეეჩვივნენ კილოს და ეს სასურველიც არის: შეეჩვევიან კილოს და თავიანთ ეკკლესიაშიც შეუძლიანთ იგალობონ ამ კილოზედ. სასურველია, რომ ყველა ეკკლესიების მედავითნეები ვალდებულ გახადოს ადგილობრივმა ბლაღოჩინმა იარონ ხოლმე ბ-ნ ნათაძის გალობაზედ და ყური უგდონ და შეეჩვივნენ გალობას. ამ დღეს მლოცველნიც ბევრნი დაესწრნენ წირვას და მრავალმა მათგანმა მადლობა უძღვნა ბ-ნს ნათაძეს შრომისათვის. ადგილობრივმა მღვ. მ. მაჭარაშვილმაც მადლობა გარდაუხადა ახალ მგალობელთა გუნდს.

გიო

## წერილი ოსეთიდგან

წლევანდელი ზამთარი აქეთ სწორეთ ენით აუწერელია. წარსულის წლის ღვინობისთვის ხუთიდგან,— დღეს აგერ აპრილიც გადის, მაგრამ, მაინც გაზაფხულის გულის გამთბობ-გამახარებელი სითბო არსადა ჩანს. აღდგომას მუხლზედ ურევდით თოვლს, ლიტონიას რო ვუვლიდით. 21 და 23 აპრილსაც კარგა ჩამოგვითოვა კავკასიონის მთები—მთის სოფლები და ბარადაც მოვიდა. საბრალო მთის ხალხს თითქმის მესამედი აღარ შერჩენია საქონლისა და რაც დარჩათ, ისიც საცოდაობით არც-კი ინახვება, ისე დამხთრებ დაცვივნულები არიან. აპრილის პირველს აქეთ, მომეტებული ნაწილი საქონელს ქერ-სიმინდითა ჰკვებავს; ხალხი სულ რაღაც სხვა ნაირ მდუმარებას არის მიცემული და დიდიან-პატარიანად იმასლა გაიძახიან: „რავქნათ, ეს რა ამბავია, რა უნდა გვეშველოს ნეტა, როდემდის უნდა იყოს ასეთი სიცივეებიო“. ზოგიერთებმა გამოხნეს თავიანთი საცოდავი სახნავი მიწები და ქერი (ახალთესლი) დასთესეს და ზოგთ-კი დარჩათ უხარობის გამო... მთის ხალხის ნუგეშ-იმედი, რასაკვირველია, ბარი არის, მაგრამ; სამწუხაროდ, ბარიდგანაც რომ არაფერი სანუგეშო ამბავი მოსდით, ამან უფრო დაალონა მთის ხალხიც. აგერ აპრილიც გადის, კვლავ ამ დროს ბარის ოსებში თითქმის შუა ხვნაში ყოფილან ხოლმე, მაგრამ წელს-კი ზოგს არც კი დაუწყიათ სიმინდის ხვნა-თესვა. საკვები საქონლისა აღარავისა აქვს და ბალახიც იმდენი არ არის, რომ მუშა საქონელი გამოძღეს. ასე გასინჯეთ. სახურავი ჩალაც კი აღარავის შერჩა, სულ ახადეს და ამ ჩალასაც-კი ფასად ყიდდნენ,

აქ მოზდოკის მხრიდგან ამბავი მოიტანეს, რომ ორმა მდიდარმა მაუდის ცხვრის ჯოგის პატრონმა ყარაჩოღლელებმა, თავი მოიკლეს, რადგანაც ცხვრის საკვები აღარა ჰქონდათ და ცხვრის საცოდაობას ვეღარ უყურესო.

კავკავშიაც არა-ჩვეულებრივი ზამთარია წელს. თითქმის აქაც ერთ თავად ყველას დღიურ სალაპარაკოდ წლევანდელი ზამთარი გახდომია. სუყველაფერი დაძვირდა. ფქვილის ფასი თანდათან იწევს. 22 აპრილს ხუთ ფუთიან ფქვილის პარკებს ხუთ-ხუთი შაური მოემატა, ე. ი. მეხუთე ხარისხისა რვა მანეთი გახდა, მეოთხესი—რვა და ათი შაური, მესამესი—რვა და თხუთმეტი შაური და სხვ... მეპურეებმა თხოვნა შეიტანეს, სადაც ჯერ არს, რომ გირვანქა გამომცხვარი პური 5 კ. გაგვაყიდვინეთო. ძროხის ხორცი 8 კაპეიკადაა, მაგრამ ისეთი გამხდარია, რომ მოსახარშათ არც-კი ვარგა. თივა ფუთი 55 კაპეიკადაა, ისიც თუ იშოვნა კაცმა, ქერი 60 კაპეიკად, ქატო—50 კაპ. შეშაც ერთი ორად ფასობს. დაძვირდა სხვა სანოვაგეც.

ამ ძვირობასა და დიდს ზამთარს ახლა ზედ დაერთო ხალხის ცრუმორწმუნეობა. კავკავის მდაბიო ხალხში ხმა გავრცელდა, რომ მამა იოანნე კრონშტადტელს წერილი მოუწერია, რომ ნუ გეშინიანთ-კი და ოთხი წელიწადი ასე იქნება, ზაფხული არ უნდა იყოსო. კურთხეულარს, უფალო, შენი სახელი! ტყუილის გავრცელება და ასეთისა გაგონილა? აქეთ მხარეს საზოგადოდ და თვით კავკავში გაზაფხულის ტანისამოსი ჯერ არავის ჩაუცვამს, ისევ ზამთრის ქურქებში არიან გახვეულნი...

ქართველი ოსებში

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ ჟამად მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში უკვე შეუდგნენ ახალის პროექტის განხილვას იმის შესახებ, რომ კავკასიაში სახელმწიფო გლეხების მიწათ-მფლობელობა გაწეს-რიგებულ იქმნას და საზოგადოდ სახელმწიფო ადგილები გლეხებს შორის უფრო სამართლიანად იქმნას განაწილებული. ამ პროექტის გამო გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ში წერილია დაბეჭდილი, რომელსაც ეწოდება „მიწად სარგებლობა კავკასიაში“, სადაც შემდეგი ცნობებია მოყვანილი სახელმწიფო გლეხების ნადელებისა და გარდასახადის რაოდენობის შესახებ:

„კავკასიაში მილიონ ნახევარ სულზედ მეტი ქალი და კაცია სახელმწიფო გლეხი, ხოლო კომლად სულ 236,565 კომლია. ეს გლეხები 3,333,413 მანეთს სხვა-და-სხვა გარდასახადს იხდიან. მათ შორის 77% საკომლო და საერობო გარდასახადს. ასეთს დიდს გარდასახადს იხდიან, მაგრამ ბევრგან გლეხები მიწის სიმცირისა გამო დიდს ტანჯვაში არიან, თუმცა ამავე წესით სხვა ადგილებში გლეხებს მიწა გადაჭარბებული აქვთ. მაგალითად, კავკასიის ოთხ გუბერნიის 3,677 სოფელს შორის 2,600 სოფელს „ნადელი“ თითო კომლზედ 10-დგან 40-სა და კიდევ მეტს დესეტინამდის (911 სოფელს 16-დგან 25 დესეტინამდე, 556 სოფელს 25-დგან 40 დეს. და 339 სოფელს 40-ზედ მეტი) 100 ათასი კომლი სრულიად არ არის ან მცირედ არის დაკმაყოფილებული მიწით. მათ დასაკმაყოფილებლად, აშკარაა, საუკეთესო საშუალება ის არის, რომ მიეცეთ რამდენიმე ნაწილი სახელმწიფო მიწებისა, რომელიც ამ ჟამად 166,694 დესეტინას აქმნება. მაგრამ ეს მიწები რუსების გადმოსასახლებლად არის გადადებული. ამიტომ აზრადა აქვთ მოაკლონ მიწა იმ საზოგადოებას, რომლებსაც მეტი აქვს, ჩამოართვან და უმიწა-წყლო საზოგადოებებს გადასცენ. ამ საშუალების პრაქტიკულად განხორციელება მეტად ძნელია, მაგრამ მაინც კავკასიის მთავრობას იმედი აქვს ეს საქმე ისე მოაგვაროს, რომ არავის საწყენად არ დარჩეს“.

ხოლო პროექტიდგან არა სჩანს რა წესით უნდა ჩამოერთვას მიწები ერთს სოფლებს და გადაეცეს მეორეთ და დაჯილდოვებულ იქმნებიან თუ არა ის სოფლები, რომელთაც მიწა ჩამოერთმევათ და თუ დაჯილდოვებულ იქმნებიან, რა წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი

—

დღემდის სამოსწავლო ოლქის უფროსები არ იწყნარებდნენ ხოლმე ქალაქების საბჭოებისა, ვაჭართა და ხელოსანთა საზოგადოებების შუამდგომლობას სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებლის დაარსების შესახებ, რადგან დასაარსებელ სასწავლებლის პროგრამას, ნორმალურს-კი არა, ადგილობრივს პირობებს უთანხმებდნენ ხოლმე. ამ ჟამად საერო განათლების სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა სამოსწავლო ოლქების უფროსთ, რომ ყოველივე შუამდგომლობა სამრეწველო სასწავლებლის დაარსების შესახებ წარმოუდგინეთ ხოლმე მთავარ-სამმართველოს, რომელიც ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკების თანახმად განიხილავს შუამდგომლობას.

— გზათა სამინისტროს ნებართვისამებრ, 12 მაისს გაიმართება რკინის გზების წარმომადგენელთა კრება, რომელიც, სხვათა შორის, განიხილავს სასწავლებლის დაარსების საქმეს აგენტებისა, კანდუკტორებისა და სხვათა მოსამზადებლად და მოილაპარაკებს იმის შესახებ, რომ მოსამსახურეთა სამსახურის დროს წინ წასაწევად და ან სხვა უდიდესის თანამდებობის მისაღებად ეგზამენი გარდაიხადონ.

— ზოგიერთ სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობის გამო სამხედრო სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ჯარის გამოსაკვებ სანოვაგის ყიდვის დროს უპირატესობა ამგვარ საზოგადოებათ უნდა მიეცეთო.

— ამ დღეებში გამოირკვევა აფიცერთა ჯამაგირების მომატების საქმე. განზრახვა აქვთ ჯამაგირები მოუმატონ ობერ-აფიცერთ კაპიტნის ხარისხამდის. 20% ზევით არავის მიემატება.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან გამართულ იქმნება კრება მთელის რუსეთის მარილის მწარმოებელთა. კრებამ სხვათა შორის უნდა მოილაპარაკოს რუსეთის მარილის წარმოებისა და ბაზრის გაფართოვების შესახებ.

# უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გუშინდელმა გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ შეერთებულის შტატების მთავრობამ როგორც იქმნა, დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ, მიიღო ადმირალის დევეს მოხსენება მანილში მომხდარ ბრძოლის შესახებ. ამ მოხსენებაში ადმირალი დევე სწერს: „მე დავიჭირე საზღვაო სადგური კავიტე და გავანადგურე ყველა ის სიმაგრე, რომელიც ნავთ სადგურის შესავალშია. ესპანიის ჯარს პატიოსანი სიტყვა ჩამოვართვი, რომ ჩვენს წინააღმდეგ არ იბრძოლებენ და განვათავისუფლე. ნავთ-სადგურის ახლო მახლო მდებარე ადგილები ჩემ ხელთ არის, მანილს როცა მინდა მაშინ დავიჭერ. ესპანელებისა 150 კაცი იქმნა მოკლული. დაჭრილ და ავადმყოფ ესპანელთ მე გავუწიე მფარველობა, მათ შორის 250 კაცი ჩვენს საავადმყოფოში წევს. ესპანიის ფლოტის განადგურების შემდეგ, მანილს ალყა შემოვარტყი და კუნძულის გენერალ-გუბერნატორს შევუთვალე, რომ თუ ჩვენ გემებს ყუმბარები ესროლეთ, მანილის სიმაგრეებს ერთის საათის განმავლობაში მიწასთან გავასწორებ მეთქი. ჩვენი ჯარიდგან არც ერთი არ იქმნა მოკლული, ხოლო დაჭრილი სულ მცირეა". ამავე მოხსენებაში სწერს ადმირალი დევე, რომ სანაპირო სიმაგრეებს ისე გავცდი და ისე შევედი ნავთ-სადგურში, რომ ესპანელებს არც-კი შეუმჩნევიათო. ნავთ-სადგურის შესავალში მდებარე კუნძულს 1 მილის სიშორეზედ გავცდით, როდესაც ამ კუნძულიდგან პირველად გვესროლეს ყუმბარაო. ამავე ბრძოლის შესახებ მადრიდიდგან იუწყებიან: „როგორც ფილიპეს კუნძულების გენერალ-გუბერნატორის აუგუსტის ოფიციალურის დეპეშიდგან სჩანს, ამერიკელებმა სრულიად დაამარცხეს კავიტეს მახლობლად ესპანიის ესკადრა და გაანადგურეს არსენალი. მანილში მყოფ უცხო სახელმწიფოთა ელჩების გარდაწყვეტილების ძალით, ამერიკელებს არ შეუძლიანთ ყუმბარები დაუშინონ მანილს. ამერიკელებს მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ ეს გადაწყვეტილება დაარღვიონ, თუ ვინიცობაა ესპანელებმა იმათ გემებს სროლა დაუწყეს. ესპანიის ესკადრიდგან 618 კაცი დაიღუპა. გუბერნატორმა პროვინციებში კაცები გაგზავნა ხალხისა და ჯარის დასამშვიდებლად, განსაკუთრებით ჯარისა, რომელნიც დიდათ აღელვდნენ თურმე ისპანიის ფლოტის დამარცხების გამო".

— გაზ. „Journal"-ის ნიუიორკელი კორესპონდენტი სწერს: „ამ ჟამად მთელი ქალაქი სადღესასწაულო სურათს წარმოადგენს. ასეთი სიხარული და აღტაცება, როგორსაც ეხლა ნიუ-იორკში ვხედავთ, ამერიკის ისტორიაში პირველი მაგალითია. არც გასაკვირველია, რადგანაც შეერთებულ შტატებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდეგ არც ერთ ევროპის სახელმწიფოსთან ომი არა ჰქონია. სწორედ ამიტომ მანილსა და მატანზაში გამარჯვებას ამერიკელები დიდის აღტაცებით მიეგებნენ. მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს. მთელი ნიუ-იორკის მოსწავლე თაობა გაზეთის დამტარებლებად გარდაიქცნენ. ქუჩები ისეა გატენილი ამ გაზეთის დამტარებლებით, რომ ეტლებს, ცხენის და ელექტრონის რკინის გზის ვაგონებს სიარული აღარ შეუძლიანთ. ამერიკაში გაზეთებს ისეთი მუშტარი არასოდეს არა ჰყოლიათ, როგორიც ეხლა ჰყავთ. ზოგიერთი გაზეთი, როგორც მაგალითად, „Tribune", „Times", „Herold" დღეში ორ მილიონზედ მეტი იყიდება. გაზეთებში მხოლოდ ომის შესახებ-ღა სწერენ. ყოველივე შეტაკება ესპანიისა და ამერიკის ფლოტს შორის დაწვრილებით არის აღწერილი. ბევრი გაზეთი წინასწარმეტყველობს კიდეც და მომავალის შეტაკების შესახებ სწერს. ასეთ გაზეთებში მრავალი სურათებია მოთავსებული, სადაც ამერიკის ფლოტი უეჭველად იმარჯვებს, ხოლო ესპანიისა მარცხდება... ჯარს ხალხი აღტაცებით ეგებება, თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში მათ სადილებს უმართავს. ამერიკის მილიონერებმა თავისის ხარჯით ცალკე რაზმები შეადგინეს, ხოლო თვითონ რაზმის უფროსის ტანისამოსი ჩაიცვეს. დღეს ყველას პირზედ ედისონი, მაკ-კინლეი და ადმირალი დევე აკერია. ედისონმა თავისის პროექტებით მთელი ამერიკა გააკვირვა. ყველა იმას გაიძახის: „თუ ვინიცობაა ფლოტმა ვერ დაამარცხა ესპანია, ედისონის მანქანებით მთელ ქვეყანას გადავაბრუნებთო". სასტუმროების, კლუბების, რესტორანების კედლებზედ მაკ-კინლეისა და დევეს უშველებელი სურათებია ჩამოკიდებული. ყველა ეკლესიაში პარაკლისს იხდიან ამერიკის ფლოტის გამარჯვების გამო. ერთის სიტყვით, ამერიკელები ისე გაიტაცა ამ ომმა, რომ სხვა აღარაფერზედ აღარა ჰფიქრობენ, ბევრს ჭამა-სმაც კი ავიწყდება".

**იტალია.** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ იტალიის თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში დიდი არეულობა მოხდა პურის ფასის აწევის გამო. მთავრობამ როგორც იქმნა დააწყნარა ხალხი და ჯარის შემწეობით მშვიდობიანობა ჩამოაგდო. მოკლულთა რიცხვი აუარებელია თურმე. მარტო მილანში, როგორც იუწყებიან, ჯარს, შეტაკების დროს, 250 კაცი მოუკლავს. ამ ჟამად მთელი ქალაქი ჯარით ყოფილა შემორტყმული: ქალაქში აღარავის აღარ უშვებენ თურმე, — იმ სოფლელებსაც-კი, რომელთაც სანოვაგე მიაქვთ გასასყიდათო. ლუგანში მთავრობამ დაკეტა ფოსტა, გაზეთის რედაქციები, სკოლები, ბანკები და სასამართლოები. მოკლულთა რიცხვი ამ ქალაქში 200 კაცს აღემატება.

# ნაკვესი

—

ცოლი. არა, არა, უეჭველად უნდა დავითხოვოთ მოურავი! ადგილი უყიდნია და ახლა სახლის შენებასაც იწყებს. მითხარი ერთი, — ვისის ფულებით?!.

ქმარი. აი, სწორედ მაგისთვის არ არის დასათხოვნი: ახლანდელს სახლი აქვს მარტო ასაშენებელი, ახალი-კი სასახლე ადგილის შეძენასაც მოინდომებს და იმისი გაძღება უფრო ძნელია.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ციმბირზე გაიარა შვეციის ექსპედიციამ ანდრეს საძებნელად. ამ ექსპედიციაში სამი წევრია: ფილოსოფიის დოქტორი სტონდლინგი, ნილსონი და ინჟენერი ფრენკელი. ეს ექსპედიცია შედგენილია შვეციის საანტროპოლოგიო და საგეოლოგიო საზოგადოების მიერ და განზრახვა აქვს ეძებოს ანდრე ჩრდილოეთის ოკეანეს ნაპირებსა და კუნძულებზე და გარდა ამისა მოახდინოს საგეოლოგიო გამოკვლევანი. ექსპედიცია გაივლის ირკუტსკზე და ტომსკზე და მერე მდინარე ენისეიზე დაეშვება. სხვათა შორის ამ ექსპედიციას თან მიაქვს ტომსკის უნივერსიტეტისათვის ბარონ ნორდენშილდისაგან მშვენიერი კოლექცია ნორვეგიისა და სხვა ჩრდილოეთის ქვეყნების მცენარეთა და პეპელებისა. ექსპედიციის წევრებმა ყველამ კარგად იციან თურმე რუსული ენა.

***

მოგზაურნი ამტკიცებენ, რომ სპილოებს მშვენივრადა სცოდნიათ წყალში ცურვა, მაგრამ მიუხედავად ამისა ცურვა არ უყვარს და თუ წყალში გასვლა დასჭირდა, და წყალი-კი ღრმა არის, ამგვარად იქცევა: აიწევს მაღლა ხორთუმს, რომ ისუნთქოს და თითონ ფეხდაფეხ გადის წყალში. საზოგადოდ, სპილოებს ძლიერ ეჯავრებათ წყალში ჩასვლა და თუ ადამიანს უნდა, რომ სპილო წყალში გავიდეს ხოლმე, ცეცხლს დაანთებს. მაშინ-კი სპილო კადრულობს წყალში ჩასვლას და რაც უნდა დიდი მდინარე იყოს და ღრმა, მაინც ყოველთვის მშვიდობიანად გავა ხოლმე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

ხ მაისი

**მადრიდი.** ამერიკის თერთმეტი გემი იდგა ჰავანიდგან კარგა მოშორებით, ასე რომ ციხის ბატარეიდგან ტყვია ვერ მისწვრებოდა.

გენერალი ბლანკო დეპეშით იუწყება, გუშინ ისპანიის გემები იმ აზრით დაეცნენ ამერიკის გემებს, რომ რაც შეიძლება მეტი ამერიკის გემი მოეზიდათ ჰავანაში. ეს სურვილი განხორციელდა, რადგან ჰავანის მახლობლად ამერიკის 11 გემი სდგას.

**ვაშინგტონი.** ზღვათა სამინისტუომ ცნობა მიიღო, რომ სამპსონი, მიღებულის ბრძანების თანახმად, ჰავანის დასავლეთ მხარეს გაეშურაო. იქიდგან სამპსონი სამხრეთ ნაპირისაკენ წავა, სადაც სადგურს დაიჭერსო.

**მადრიდი.** საგასტამ შეატყობინა დედოფალს, რომ ყველა მინისტრებმა თანამდებობას თავი გაანებესო. დედოფალმა მიანდო საგასტას კაბინეტის განახლება.

**რომი.** მთელ სახელმწიფოში მშვიდობიანობაა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნმა კ. თავართქილაძემ, გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის „შუამავლის" ყოფილმა გამგემ, 1 მარტის კრებაზედ სამედიატორო სამართალი მოსთხოვა სარევიზიო კომისიას, რომლის განაჩენი მის მიერ საქმეთა წარმოების შესახებ უმართლოდ მოეჩვენა, სარევიზიო კომისიაც სამართალში მიჰყვა და ორივე მხარემ ორის თვის ვადა დანიშნეს უთანხმოების გასასწორებლათ. დანიშნული ორი თვეც თავდება და სარევიზიო კომისია მოაგონებს ბ-ნს თავართქილაძეს გვაცნობოს, როდის მობრძანდება კრების დადგენილებისა თანახმად ქ. ოზურგეთში თავის მხრივ დანიშნულის კაცებით.

სარევიზიო კომისიის წევრნი: ის. რამიშვილი, მიხ. თუმანიშვილი, გ. მარგალიტაძე და ს. ჭეიშვილი.

—

მადლობას ვუძღვნით სოფ. ვაქირის სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ თექვსმეტის ცალის წიგნის შემოწირვისათვის ბ-ნ იოსებ. ლეჟავას.

მღვდელი იოსებ თუქუშაშვილი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობამ მიიღო 1898 წლის აპრილის თვის განმავლობაში.

1) საწევრო ფული

ა) ნამდვილის წევრების

1, ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილისაგან . . . . . . 6 მ.

2, მღ. კალისტრატე ცინცაძისაგან . . . . . . . . . 6 მ.

სულ 12 მ.

2) ყულაბებით შეგროვილი ფული

1, ნინო ბეჟანის ასულის ყიფიანისაგან . . . . . . 68—34 კ.

2, ნინო მიხეილის ასულის მაჭავარიანისაგან. . . . . . 5—07 კ.

სულ 73—41 კ.

3) შემოწირულებანი

1, კნ. ან. წერეთლისაგან სოხუმში გამართულის წარმოდგენის შემოსავალი . . . . . . 160 მ.

2, საზოგადოების აგენტის თომა მთავრიშვილისაგან . . . 60 მ.

სულ 220 მ.

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ.


# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 § ის თანახმად ამით აცხადებს, რომ 11, 13, და 16 თიბათვეს ამა 1898 წლისას, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისათვის, 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§ მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება სახაზინო თუ საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელვადიანი სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისის დარქმეულ ფასისამებრ ნაღდი ფულის მაგიერ? [Note: printed line reads] ?ანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავალო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 11, 13, და 16 თიბათვეს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე 21 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 30 თიბათვეს ამავეწლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ს თანახმად, მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი გარდასახადი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს. ვაჭრობა მოხდება: ა) ქალაქის მამულებისა: 1) ტფილისისა 11 თიბათვეს, 2) ტფილისის გარეშე ქალაქებისა 13 თიბათვეს, ბ) სოფლის მამულებისა 16 თიბათვეს ხოლო მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა მოხდება 30 თიბათვეს 1898 წელსა.

სხოლიო. ვინც მოისურვებს ვაჭრობით შეძენას იმ მამულებისას, რომლებიც მოკლე ვადით არის დაგირავებული, უნდა წარადგინოს, დარჩენილ გარდასახადის გარდა, კიდევ 10% თავნის ვალისა.

ქალაქის მამულები

ტფილისისა

არნაუტოვები არტემა და დავით სერგეის ძენი: სამ-სართულიანი სახლი სარდაფით, მიწა ზომით 14 საჟ. და $2^1/_2$ ოთხ-კუთხი არშინი, ქ. ტფილისში, 4 ნაწ., იარმუკაში. თავ. ვალი 2148 მ. 61 კ. შემ. გარ. 173 მ. 33 კაპ. სულ 2321 მ. 94 კ.